unicef

თითოეული ბავშვისთვის

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი

2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 1

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 1

2019

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით.
პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი ეკუთვნით ავტორებს და სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2019

ავტორები: თამთა კუხალეიშვილი, ნინო ფრუიძე, ნინო ჯიჯავაძე, თამარ ბაქრაძე, ანა ჯანელიძე
ილუსტრაცია და დიზაინი: სალომე სხირტლაძე
ფოტო გარეკანზე: თაკო რობაქიძე

სარჩევი

შესავალი 05

თავი 1. კურიკულუმის საფუძვლები 10

ბავშვთა უფლებების მდგომარეობისა და სკოლამდელი განათლების მარეგულირებელი დოკუმენტები 11

ბავშვის განვითარების თეორიები 13

თავი 2. კურიკულუმის მიზანი 18

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი" საქართველოში 19

სახელმწიფო სტანდარტი და კურიკულუმი 24

გამოყენებული ლიტერატურა 33

შესავალი

წინამდებარე კურიკულუმი შეიქმნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით 2017-2018 წლებში. აღნიშნულ დოკუმენტზე მომუშავე სკოლამდელი განათლების ადგილობრივი ექსპერტები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ დარგის სპეციალისტებსა და პრაქტიკოსებთან, კერძოდ: რეგიონებისა და თბილისის მუნიციპალიტეტების, საჯარო და კერძო სკოლამდელი დაწესებულებების, საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომელთაგან მიღებული რეკომენდაციები აისახა კურიკულუმში.

კურიკულუმი ერთ-ერთი მეთოდოლოგიური რესურსია საქართველოში მოქმედი საჯარო და კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის და განკუთვნილია 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის. მართალია, წარმოდგენილი დოკუმენტის უმთავრესი სამიზნე აუდიტორია ბაღების თანამშრომლები არიან, თუმცა რესურსით სარგებლობა შეუძლიათ შესაბამისი ასაკის ბავშვების მშობლებსაც. დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გამოყენება შესაძლებელია ბავშვზე ზრუნვის, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მიზნების მქონე ნებისმიერ დაწესებულებაში (დღის ცენტრები, სკოლამდელი ალტერნატიული სერვისები, საბავშვო წრეები, კლუბები და სხვა). სკოლამდელი განათლების კურიკულუმი უსარგებლო რესურსი არც სტუდენტებისთვისაა, რადგან აღნიშნული დოკუმენტი მჭიდრო კავშირშია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებთან“. კურიკულუმი და ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სტანდარტები გარკვეულწილად ავსებენ ერთმანეთს და ერთგვარი წინაპირობაა ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა.

მოცემულ კურიკულუმში არ განიხილება ის უნარები და ცოდნა, რომელთა განვითარებასაც უნდა შეუწყოს ხელი შემოთავაზებულმა მეთოდოლოგიამ. ეს ინფორმაცია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებშია“ წარმოდგენილი.

კურიკულუმის მიზანი ბავშვებში XXI საუკუნისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაა. ეს ის სავალდებულო უნარები, ცოდნა და ღირებულებებია, რომლებიც საჭიროა თანამედროვე, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით სწრაფად ცვალებად საზოგადოებაში წარმატების მისაღწევად. ტექნოლოგიურმა განვითარებამ მკვეთრად შეცვალა სამუშაო გარემო, რომლის მოთხოვნებიც საგანმანათლებლო სისტემაში აუცილებლად გასათვალისწინებელია. ახალი კურიკულუმი კი, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვებში XXI საუკუნისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითრებას, მათი მომავალი წარმატების გარანტიაა როგორც განათლების შემდგომ საფეხურებზე (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი), ისე - ცხოვრების მანძილზეც. ჩვენ მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის ერთიანი, ბავშვზე ორიენტირებული, ჰოლისტური დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოში მცხოვრები ბავშვების მრავალი ასპექტი: ასაკი, ეთნიკური მიკუთვნებულობა, ენობრივი, რელიგიური და კულტურული მახასიათებლები, შესაძლებლობები და სხვა. რადგან საქართველოში ვხვდებით როგორც ერთი ასაკის ბავშვებით დაკომპლექტებულ, ისე შერეულ ასაკობრივ ჯგუფებსაც, წინამდებარე დოკუმენტში მკაფიოდაა ნაჩვენები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკა და ის კონკრეტული სტრატეგიები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია როგორც სხვადასხვა, ისე შერეულ ასაკობრივ ჯგუფებთან მუშობისას.

რა არის კურიკულუმი?

უპირველეს ყოვლისა, განვმარტოთ სიტყვა კურიკულუმის მნიშვნელობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში, რადგან ტერმინს

სხვადასხვა კონტექსტსა და განათლების ამა თუ იმ საფეხურზე განსხვავებული დატვირთვა აქვს ხოლმე. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტში კურიკულუმი განმარტებულია შემდეგნაირად: **ყველა დაგეგმილი ან დაუგეგმავი გამოცდილება, საქმიანობა, რუტინა, მოვლენა და ნებისმიერი ტიპის ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოში** (ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017). სხვაგვარად რომ ვთქვათ, კურიკულუმი არის ბავშვების კონკრეტული ჯგუფისთვის განსაზღვრული და საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მიზნების, ამოცანების, შინაარსის, მეთოდის, პროცედურისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტი. აღმზრდელ-პედაგოგისთვის კურიკულუმი ერთგვარი საშუალებაა ბავშვის სტანდარტით გათვალისწინებულ მიზნებზე გასვლისა.

კურიკულუმი, შესაძლოა, ემსახურებოდეს მთელს სისტემას, როგორც ეს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კურიკულუმის შემთხვევაშია და მოიცავდეს განათლების სხვადასხვა საფეხურს. არსებობს განათლების კონკრეტული საფეხურისთვის გამიზნული კურიკულუმი - მაგალითად, გვსმენია ისეთ კურიკულუმზეც, რომელიც ერთ კონკრეტულ დაწესებულებას ან საგანს ემსახურება - ვთქვათ, კონკრეტული ბაღის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ან ჯანსაღი ცხოვრების წესის კურიკულუმი ბაღებისთვის. წინამდებარე კურიკულუმის გამოყენება ადრეული და სკოლამდელი განათლების ყველა დონეზეა შესაძლებელი.

ტიპი და სახელწოდება

არსებობს კურიკულუმის ტიპები. სკოლამდელი განათლების ეს კურიკულუმი „ემერჯენტული“ ტიპისაა. რას ნიშნავს ემერჯენტული კურიკულუმი? ეს არის მიდგომა, რომლისთვისაც პრიორიტეტი ბავშვების ინტერესები და მიდრეკილებებია. „ემერჯენტული კურიკულუმი“ არის კურიკულუმი, რომელიც ბავშვების ინტერესებიდან

და მიდრეკილებებიდან გამომდინარეობს. კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვები ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როდესაც მათი ინტერესები გათვალისწინებულია. ამ შემთხვევაში ახალი ინფორმაციის სწავლა და ათვისება ბუნებრივად ხდება. ვინაიდან ემერჯენტული, ანუ ამომავალი კურიკულუმი მთლიანად ბავშვის ინტერესებზე არის მორგებული, პრაქტიკოსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ინტერესების გამოვლენა და დანახვა. სწორედ ამიტომ ემერჯენტული კურიკულუმის ძირითადი კომპონენტებია: ბავშვზე **დაკვირვება**, დაკვირვების შედეგების **დოკუმენტირება**, დაკვირვების **ანალიზი/რეფლექსია**, შემდგომ კი ამ ანალიზის საფუძველზე **რეაქცია**, ანუ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება დაკვირვების ანალიზის შესაბამისად. ნაცვლად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროცესი დაიწყოს აქტივობებისა და საქმიანობების გეგმებით, რომლებიც ყოველ წელს მეორდება (მიუხედავად იმისა, ერგება თუ არა ეს გეგმები ჯგუფში მყოფი ცალკეული ბავშვის განვითარების დონესა და ინტერესებს), ემერჯენტული კურიკულუმი იწყება ბავშვებზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების აღმოჩენით. საგანმანათლებლო პროცესის ბავშვების ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით წარმართვა კი კურიკულუმის **ინდივიდუალიზაციის**, ანუ ბაღში მიმდინარე ყველა პროცესის ცალკეული ბავშვის თავისებურებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგების გზით ხორციელდება.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ საუკეთესო კურიკულუმი უნდა ყალიბდებოდეს ბავშვებთან მუშაობის პროცესში, როდესაც ისინი უფროსებთან ერთად სხვადასხვა თამაშში არიან ჩართულნი ან სხვადასხვა საქმიანობით დაკავებულნი. სწორედ ასეთია „ემერჯენტული“ კურიკულუმი.

წინამდებარე კურიკულუმი შედგება ოთხი წიგნისაგან:

პირველი წიგნი მოიცავს კურიკულუმის თეორიულ საფუძვლებს - მათ შორის, ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის ძირითად პრინციპებს.

მეორე წიგნში აღწერილია როგორც ბავშვის როლი საგანმანათლებლო პროცესში, ისე - პოზიტიური, ხელშემწყობი გარემო და მისი კომპონენტები: სოციალური გარემო, ფიზიკური გარემო და დროის ორგანიზება.

მესამე წიგნში საუბარია მეთოდოლოგიის ძირითად პრინციპებზე, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საგანმანათლებლო პერსონალმა (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება). ამავე ნაწილშია განხილული საქმიანობების ის ფორმები, რომლებშიც ჩაერთვება ბავშვი ბაღში. წიგნის ამ ნაწილშივე მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საგანმანათლებლო პერსონალს ამ ფორმების საშუალებით ბავშვების განვითარების ხელშეწყობა.

მეოთხე წიგნი მოიცავს ოჯახთან ურთიერთობის საკითხებს, მიმოხილულია ბავშვებთან მომუშავე პერსონალის კეთილდღეობისა და თვითგანვითარებაზე ზრუნვის სტრატეგიები. აქვე გაეცნობით საინტერესო რეკომენდაციებს იმის თაობაზე, როგორ აფასებენ პრაქტიკოსები კურიკულუმის განხორციელების პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად ეფექტურად ნერგავენ კურიკულუმს.

თავი 1. კურიკულუმის საფუძვლები

მოცემული კურიკულუმით ბავშვებისთვის საუკეთესო და მათთვის ყველაზე სასარგებლო გამოცდილების შეთავაზება გვსურს, თუმცა საინტერესოა, საიდან ვადგენთ, რა არის საუკეთესო ბავშვისთვის? რას აქვს დადებითი და უარყოფითი გავლენა მათ განვითარებაზე? რა არის ის აუცილებელი პირობები, რომლებიც უნდა შევუქმნათ მათ? ამ და კიდევ მრავალ მსგავს შეკითხვაზე ძალიან ბევრი წლის მანძილზე სხვადასხვა მეცნიერი, პრაქტიკოსი თუ პოლიტიკის განმსაზღვრელი ცდილობს პასუხის გაცემას და მათ ეს გარკვეულწილად მოახერხეს. სწორედ ამ ძიების საფუძველზე შეიქმნა არაერთი თეორია და კვლევის, ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისას. მოცემულ თავში წარმოდგენილია იმ დოკუმენტებისა და თეორიების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც საფუძვლად უდევს მოცემულ კურიკულუმს.

კურიკულუმის შემუშავებისას ერთ-ერთი დასაყრდენი წყარო ბავშვთა საკითხების მარეგულირებელი და მათი ინტერესების დამცველი დოკუმენტები, ის საერთაშორისო და ადგილობრივი კანონები, რეგულაციები, ხელშეკრულებები, კონვენციები და რეკომენდაციებია, რომლებიც, ზოგადად, ეხება ბავშვთა უფლებების დაცვას, ადრეულ და სკოლამდელ განათლებასა და ზრუნვას. გამოვყოთ რამდენიმე მათგანი:

საერთაშორისო ნორმატიული აქტები

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია - შემუშავებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, აღწერს ბავშვების იმ უფლებებს, რომელთა დაცვაც სახელმწიფოების ვალდებულებაა. საქართველო არის იმ ქვეყანათა სიაში, რომლებმაც მიიღეს ბავშვთა უფლებათა კონცენცია და შესაბამისად აიღეს ვალდებულება, შეასრულონ ბავშვებისთვის მინიჭებული უფლებები. კონვენცია განსაზღვრავს ბავშვის უფლებებს ოთხი ძირითადი მიმართულების ქვეშ:

  1. ზიანისა და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება - ბავშვებმა არ უნდა განიცადონ დისკრიმინაცია კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების და ა.შ. გამო.

  2. სიცოცხლის შენარჩუნებისა და ნორმალურ პირობებში ცხოვრების უფლება - ბავშვს აქვს სიცოცხლის შენარჩუნების და ყოველმხრივი განვითარების უფლება.

3. ბავშვის მონაწილეობის უფლება - ბავშვებს უნდა მიეცეთ საშუალება, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც აწუხებთ და თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრება. იმ გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელებისას, რომლებიც ეხება ბავშვს ან ბავშვთა ჯგუფებს, უპირატესი ვალდებულება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებაა, მიუხედავად იმისა, ვინ იღებს გადაწყვეტილებას - მთავრობა, ადმინისტრაციული/საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელობა თუ ბავშვის ოჯახი.

4. შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების უფლება.

სწორედ ამ უფლებებს ეფუძნება ჩვენი კურიკულუმი. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-7 ზოგადი კომენტარი: ადრეულ ასაკში ბავშვთა უფლებების იმპლემენტაცია წარმოადგენს კონვენციის ერთგვარ დამატებას და შემუშავებულია ბავშვთა უფლებების განხორციელების მონიტორინგის შედეგების განხილვის საფუძველზე 2006 წელს. მე-7 ზოგადი კომენტარი მნიშვნელოვანი ორიენტირია აღნიშნული კურიკულუმისთვის, რადგან ბავშვს აღიარებს არა უფლებების მქონე პასიურ სუბიექტად, არამედ განიხილავს მას ყოველდღიურობის აქტიურ მონაწილედ. მართლაც, ბავშვების განათლებაზე საუბრისას, უფრო ვკონცენტრირდებით ჩვენზე - რა და როგორ გავაკეთოთ უფროსებმა და ვივიწყებთ ბავშვს, რომელმაც უნდა ისწავლოს და მისი აქტიური მონაწილეობის, პროცესში ჩართვის გარეშე არაფერი გამოვა.

ეროვნული ნორმატიული აქტები

- **საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ** ძირითადი ეროვნული დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს. შესაბამისად, მოცემული კურიკულუმი სრულ შესაბამისობაში მოდის აღნიშნულ კანონთან. კანონში

განსაზღვრული მნიშვნელოვანი პრინციპები - სწავლების ენა, ბავშვთა დაცვის საკითხები, ინკლუზიური განათლება, ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა, საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა ჯგუფში, მშობელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში - სრულად არის ასახული ამ დოკუმენტში.

- **ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი** - ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი საქართველოს კანონში ამგვარადაა განმარტებული: დოკუმენტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ აწესებს დაბადებიდან სასკოლო მზაობის პროგრამის დაწყებამდე ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის მისაღწევ შედეგებს და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მახასიათებლებს. ამრიგად, ზემოაღნიშნული დოკუმენტი უმნიშვნელოვანესი პლატფორმაა ამ კურიკულუმისათვის, ხოლო შემადგენელი კომპონენტები - ფიზიკური სივრცე, პროცესები - ეყრდნობა სტანდარტის დოკუმენტში განსაზღვრულ შედეგებს.

ბავშვის განვითარების თეორიები

როგორც აღვნიშნეთ, ბავშვის განვითარება არაერთი მეცნიერისა თუ თეორეტიკოსის კვლევის საგანი იყო მრავალი წლის მანძილზე. ამ კვლევებს უშედეგოდ ნამდვილად არ ჩაუვლია, რადგან დღეს უკვე გვაქვს მრავალი მტკიცებულება მათი განვითარების თავისებურებებისა და ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე თეორეტიკოსისა თუ მეცნიერის თეორიას, რომლებსაც ეყრდნობა კურიკულუმი.

1. თამაში და განვითარება

ჟან პიაჟე (1896 – 1980 წწ) და კოგნიტური განვითარების თეორია

ერთ-ერთი თეორეტიკოსი, რომელიც თამაშის მნიშვნელობაზე საუბრობს, შვეიცარელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟეა. თამაში სწავლის საუკეთესო საშუალებაა, რა დროსაც ბავშვები სწავლობენ დაკვირვებას, შედარებას, დახარისხებას, რიგითობას და მათი ცოდნაც ღრმავდება. პიაჟეს თეორია უკანასკნელი წლების კვლევებითაც დასტურდება. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 7 წლის ბავშვებს, რომლებიც 4 წლის ასაკში ერთვებოდნენ მათ მიერ ინიცირებულ თუ შერჩეულ აქტივობებში და იყენებდნენ მრავალფეროვან მასალას, უკეთესი შედეგები ჰქონდათ კოგნიტური და მეტყველების განვითარებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულებისას, ვიდრე მსგავსი გამოცდილების არმქონე მათივე თანატოლებს.

2. ინტერაქცია

ლევ ვიგოტსკი (1896 – 1934 წწ) და სოციო -კულტურული თეორია

რუსი ფსიქოლოგი ლევ ვიგოტსკი თავის მიმდევრებთან ერთად სწავლობდა სოციალური ინტერაქციის ფენომენს. სოციალური ინტერაქცია ორ ან მეტ ადამიანსა და ჯგუფებს შორის ურთიერთობაა. ვიგოტსკისა და მისი მიმდევრების წარმოდგენით, ადრეულ ასაკში ბავშვების აზროვნება ვითარდება უფროსებთან ურთიერთობითა და მათთან ერთად რისამე კეთებით, ანუ როდესაც ბავშვი და უფროსი ერთად საქმიანობენ, თამაშობენ, ატარებენ დროს. შესაბამისად, უფროსებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ბავშვის შემეცნებითი უნარებისა და აზროვნების განვითარებაში.

ლევ ვიგოტსკის თამაშთან დაკავშირებული თეორიები განსაკუთრებით საგულისხმოა კურიკულუმისთვის, რადგან აღწერს თამაშის მნიშვნელობას ბავშვის განვითარების პროცესში. თამაშის პროცესში ბავშვები ადგენენ წესებს, იყენებენ სიმბოლოებს და იგონებენ ამბებს, რაც, თავის მხრივ, სოციალური თუ სხვა უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

ბარბარა როგოფი (დაიბადა 1950 წ) და ბავშვის განვითარების კულტურული ხასიათის თეორია

კურიკულუმისთვის მნიშვნელოვანია ბარბარა როგოფის შრომებიც, რომლებიც ეხება თანამშრომლობას ბავშვსა და აღმზრდელს/მშობელს/მზრუნველს შორის. ამგვარი ურთიერთობები ხელს უწყობს არსებული ცოდნისა და უნარების დაკავშირებას ახალ ცოდნასა და უნარებთან.

ალბერტ ბანდურა (დაიბადა 1925 წ) და სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია

ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია სწავლისას მოდელირების და მიბაძვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ამ თეორიის თანახმად, ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებზე დაკვირვების საშუალებით. ბავშვების პირველი გამოცდილებებიც ხომ სწორედ სხვებზე დაკვირვების და მიბაძვის შედეგია. შესაბამისად, მზრუნველებს - მათ დამოკიდებულებებსა და ქცევას - განსაკუთრებული როლი ეკისრებათ ბავშვის განვითარების პროცესში. პატარები, რომლებთან ურთიერთობისას უფროსები არ იყენებენ ზრდილობიანად მიმართვის ფორმებს (უკაცრავად; მაპატიეთ; თუ შეიძლება; გამარჯობა; ნახვამდის; მადლობა და ა.შ.) და არ იცავენ ეტიკეტს, თვითონაც ასე მოიქცევიან და პირიქით: ბავშვები, რომლებსაც უფროსებთან ურთიერთობისას პერმანენტულად ესმით ზემოხსენებული „ჯადოსნური სიტყვები“ და იცნობენ ეტიკეტის წესებს, თავადაც გამოიყენებენ მათ სხვებთან ურთიერთობისას.

ურიე ბრონფენბრენერი (1917-2005 წწ) და ეკოლოგიური სისტემების თეორია

ეკოლოგიური სისტემების თეორია, რომელიც ბრონფენბრენერის სახელს უკავშირდება, აღწერს გარემოსა და სხვა ადამიანების როლს ბავშვის განვითრებაზე. ამ თეორიის თანახმად, ბავშვის გარშემო არსებული სამყარო რამდენიმე სხვადასხვა დონის სისტემას წარმოადგენს და

თითოეული მათგანი განსხვავებულ, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის ადრეულ განვითარებაზე.

3. უნიკალური ინდივიდი და მონაწილე

ჯონ დიუი (1859 – 1952 წწ) და გამოცდილებით სწავლა

ამერიკელი განათლების ფილოსოფოსის, ჯონ დიუის განათლების კონცეფცია განსაკუთრებით ესადაგება იმ მიზანს, რასაც მოცემული კურიკულუმი ემსახურება. დიუის ნაშრომებში ცოდნის მიღების საუკეთესო გზად გამოცდილებითა და სოციალური ინტერაქციით სწავლა მიიჩნევა. კურიკულუმისთვის ასევე საინტერესოა მისი თეორია ხელოვნებასთან დაკავშირებით, სადაც ხელოვნება განიხილება, როგორც ინდივიდის ცხოვრებაზე უმნიშვნელოვანესი გავლენის მქონე გამოცდილება.

თვითდეტერმინიზმის თეორია

თვითდეტერმინიზმი მოტივაციის ერთ-ერთი თეორიაა, რომლის თანახმადაც არსებობს ორი სახის - შინაგანი (ინტრინსიკული) და გარეგანი (ექსტრინსიკული) მოტივაცია და ამ ორი ტიპის მოტივაციის ურთიერთმიმართებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ინდივიდის განვითარების პროცესში.

თავი 2. კურიკულუმის მიზანი

მოცემული კურიკულუმი ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების რეალიზების საშუალებაა. კურიკულუმის მიზანი ბავშვის ჰოლისტური განვითარებაა, სტანდარტი კი გვეხმარება გაგება-გააზრებაში, თუ რა იგულისხმება ჰოლისტურ განვითარებაში; გვაცნობს სხვადასხვა ასაკის ბავშვების მახასიათებლებს; გვაჩვენებს, რას ნიშნავს და როგორი უნდა იყოს ხარისხიანი სკოლამდელი განათლება.

ზოგადად, საგანმანათლებლო სტანდარტები გარკვეული მიმართულების მიმცემი, ერთგვარი გზამკვლევია სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის. სტანდარტებზე დაყრდნობით განისაზღვრება ბავშვისთვის მისაღწევი მიზნები, იქმნება სამოქმედო გეგმა როგორც ბაღის, ისე ცალკეული პრაქტიკოსების მონაწილეობით. კურიკულუმი აერთიანებს სტანდარტით გათვალისწინებულ მიზნებს

და ამავდროულად, საუკეთესო საშუალებაა ბავშვებისთვის დასახული მიზნების მისაღწევად.

მოცემული თავის პირველ ნაწილში განხილულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტის პირველი ნაწილის, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის სტრუქტურა და სტანდარტისთვის მისაღწევი შედეგები, ხოლო თავის მეორე ნაწილი განმარტავს ა) ურთიერთკავშირს მოცემულ კურიკულუმსა და ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს შორის, ბ) რა როლი აქვს სტანდარტის დოკუმენტს ამ კურიკულუმის განხორციელებისას.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი“ საქართველოში

„ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი“ არის დოკუმენტი, რომლის მიზანიც ადრეული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაა ქვეყნის მასშტაბით. ესაა სამნაწილიანი დოკუმენტი, რომლის პირველი და მეორე ნაწილები (ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი და სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი) წარმოადგენს ბავშვის განვითარების სტანდარტს და განსაზღვრავს ბავშვისთვის მისაღწევ შედეგებს, ხოლო მესამე ნაწილი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტი“ - განსაზღვრავს ხარისხიანი პროგრამის მახასიათებლებს. კურიკულუმი ეფუძნება ხარისხის სტანდარტს. სწორედ მისი ერთ-ერთი მუხლი „კურიკულუმი და მეთოდოლოგია“ არეგულირებს კურიკულუმს და ხაზგასმით აღნიშნავს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას.

კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელებისას სახელმძღვანელო დოკუმენტი სწორედ ბავშვის განვითარების სტანდარტი უნდა იყოს. რას ნიშნავს/გულისხმობს ეს? ჯგუფში სივრცის კურიკულუმში აღწერილი ნორმების მიხედვით მოწყობას; შესაბამისი რესურსების მომარაგება/გამოყენებას და სხვა. საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვისას დაეყრდენით და იხელმძღვანელეთ ბავშვის განვითარების სტანდარტით, სადაც გაეცნობით პასუხებს თქვენთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან შეკითხვებზე (რა უნდა იცოდნენ, რა უნდა შეძლონ ბავშვებმა და ა.შ.). ამ კურიკულუმის მიზანი სწორედ ბავშვის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების უზრუნველყოფაა.

„ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი“

1. სტანდარტის სტრუქტურა

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტში მოცემულია ბავშვისთვის მისაღწევი შედეგები 0-დან 5 წლის ასაკამდე.

ვინაიდან ეს კურიკულუმი განკუთვნილია 2-5 წლის ასაკის ბავშვებისთვის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას თქვენ, ძირითადად, მოგიწევთ ერთ მძივად დალაგებული ინდიკატორების 2-დან 5 წლამდე ასაკობრივი ნაწილის გამოყენება. თუმცა, მაგალითად, ბაგაში, ანუ 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებთან მუშაობისას, გამოიყენებთ 0-დან 2 წლამდე ასაკისთვის განკუთვნილ ინდიკატორსაც. შერეულ ჯგუფთან მუშაობის შემთხვევაში, თუ თქვენ 3-დან 5 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებთან მუშაობთ, აქტუალური 3 დან 5 წლამდე ასაკის ინდიკატორები იქნება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი არის დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ცოდნისა და უნარების ერთობლიობა. სტანდარტი ორ დიდ ჯგუფად არის

დაყოფილი: განვითარების სფეროებად და გამჭოლ მიმართულებებად.

ქვემოთ მოცემულია ინფოგრაფიკი, რომელიც ასახავს ბავშვის განვითარების სტანდარტის სტრუქტურას:



წინამდებარე კურიკულუმის მიზნების მისაღწევად, ანუ ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის აუცილებლია სტანდარტის დოკუმენტის საფუძვლიანი შესწავლა. ცხადია, სტანდარტის კარგად ცოდნა არ გულისხმობს სტანდარტებისა და ინდიკატორების „დაზეპირებას“. მთავარია დოკუმენტში მოცემული სფეროების, გამჭოლი მიმართულებების შინაარსის, სტანდარტებით გადმოცემული შედეგების გააზრება და ბავშვის განვითარების სწორედ ამ ჭრილში დანახვა.

კურიკულუმის ფარგლებში სტანდარტის დოკუმენტის ამგვარი დაყოფა ბავშვის განვითარების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის

საშუალებას იძლევა - ერთი მხრივ, ზრუნვა განვითარების სფეროების დაფარვაზე, მეორე მხრივ, - მიმართულებებზე, რომლებიც ცალკეულ დარგებთან დაკავშირებულ სტანდარტებს აერთიანებს. ამ ტიპის მიდგომით ხელს შევუწყობთ როგორც ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარებას, ისე - დარგობრივი ცოდნისა და ინფორმაციის შეძენას.

„ადრე ისეთ ყურადღებას არ ვაქცევდი ამა თუ იმ მეცნიერებას სასწავლო პროგრამის დაგეგმვისას. ვფიქრობდი, ბაღის ასაკში რა დროს ქიმია და ფიზიკაა. ვერც ვიფიქრებდი - თუ ბავშვებს მარტივი ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას მივცემდი, მარცვალს ჩავაგდებდი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი შემდგომი ინტერესის გასაღვივებლად.“

ხათუნა, ბაგა-ბაღის აღმზრდელი

„სტანდარტის დოკუმენტის ასეთი დაყოფით ბაღში მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს საქმიანობის დაგეგმვისას საშუალება აქვთ, ერთი მხრივ, გაითვალისწინონ განვითარების სფეროები და ამავდროულად, ხელი შეუწყონ დარგობრივი კომპეტენციების შეძენას - მაგალითად, ფიზიკა, ქიმია და სხვა მეცნიერებებთან დაკავშირებული აქტივობები.“

ანა, ბაგა-ბაღის მეთოდისტი

2. სტანდარტით მისაღწევი შედეგები

„სტანდარტები ძალიან მიადვილებს საქმეს, მშობლებთან ურთიერთობაც ადვილია. ადრე რაღაცნაირად კი ვუსაბუთებდი,

*რატომ არ არის გამართლებული, ვთქვათ, **10-12** სტროფიანი ლექსის დაზუთხვა ზეიმისთვის ან რატომ არ ვასწავლი ჩემს გამოსაშვებ ჯგუფს წერა-კითხვას, მაგრამ მას შემდეგ, რაც სტანდარტები არსებობს, არგუმენტების მოყვანა უფრო ადვილია, მშობელს ვაცნობ სტანდარტს და ვუხსნი, რას ვეფუძნები მუშაობისას“*

*ასმათი, **5-6** წლიანების ჯგუფს აღმზრდელი*

მრავალჯერ ვახსენეთ, რომ სტანდარტის დოკუმენტში აღწერილია, რა უნდა შეეძლოს ან იცოდეს ადრეული ასაკის ბავშვმა, რაც დღესდღეობით - იმ ვითარებაში, როცა ბავშვებს, ერთი მხრივ, ძალიან მაღალი მოთხოვნების წინაშე ვაყენებთ (მაგალითად, აქცენტი აკადემიურ უნარებზე), მეორე მხრივ კი განვითარების შეუსაბამო მოლოდინი გვაქვს (მაგალითად, დამოუკიდებლობა, თვითმოვლისა და სოციალური უნარები), ძალიან რთულია.

კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ყველა ადამიანი უნიკალურია. მართალია, არსებობენ მსგავსი თვისებების მქონე ადამიანები, თუმცა სრულიად იდენტური და აბსოლუტურად მსგავსი არავინაა. ყველა ბავშვი უნიკალურია და ბუნებრივია, ისინი სხვადასხვა ასაკში იწყებენ კონკრეტული კომპეტენციების გამოვლენას. წლების მანძილზე ჩატარებულმა ბევრმა კვლევამ დაადგინა რამდენიმე მახასიათებელი, რითაც კონკრეტული ასაკის ბავშვების დიდი ნაწილი ხასიათდება. თუმცა, თუ რომელიღაც ასაკში ბავშვი მისთვის სტანდარტით განსაზღვრულ რაიმე კომპეტენციას არ ავლენს, ნუ ვიფიქრებთ, რომ საქმე აუცილებლად განვითარების შეფერხებასთან გვაქვს. მაგალითად: 2-3 წლის ბავშვის აღზრდის სტანდარტებიდან, სფერო - ფიზიკური და სენსორული განვითარება, კატეგორია - ფეხით გადაადგილება, ქვეკატეგორია - სირბილი.

სირბილი	დარბის სწრაფი ნაბიჯით (ყოველთვის უდგას ერთი ფეხი ძირს).	საკმაოდ კარგად დარბის.	დარბის და დაუხმარებლად ჩერდება, თავს არიდებს დაბრკოლებებს.	დარბის ფეხის წვერებზე.	სირბილისას კუთხეებში მკვეთრად უხვევს.

2-3 ასაკობრივ ჯგუფში მომუშავე პრაქტიკოსი აუცილებლად აღმოაჩენს, რომ მისი ჯგუფის ზოგიერთი ბავშვი ინდიკატორების მძივის დასაწყისში ან პირიქით - მძივის ბოლოს მოცემულ ინდიკატორებს ავლენენ, რაც სულაც არ ნიშნავს ჩამორჩენას განვითარებაში. სტანდარტი მხოლოდ გარკვეულ „ჩარჩოს“ გვთავაზობს, მისი ხისტად გამოყენება და ინდივიდუალობის უგულვებელყოფა დამაზიანებელია ბავშვისთვის და ნეგატიურ კვალს ტოვებს მის ჩამოყალიბებაზე.

სახელმწიფო სტანდარტი და კურიკულუმი

1. სტანდარტი, როგორც მიზანი

კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის სტანდარტის დოკუმენტი ჩვენს მთავარ სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს. კურიკულუმის სწორად გამოყენებით მივაღწევთ სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს ყველა მიმართულებით: ბავშვის ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური კომპეტენციების გაზრდა, დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის განვითარება, საკომუნიკაციო უნარების ხელშეწყობა, შემეცნებითი განვითარება, სხვადასხვა დარგობრივი ცოდნის გავრცელება. კურიკულუმის გონივრულად გამოყენება დაგვეხმარება, შევძინოთ ბავშვებს XXI საუკუნისთვის საჭირო კომპეტენციები.

რას ნიშნავს XXI საუკუნისთვის საჭირო კომპეტენციები? მსჯელობა საკითხზე, რომ ახალ საუკუნეში ადამიანს განსხვავებული კომპეტენციები დასჭირდებოდა, ჯერ კიდევ XX საუკუნის მიწურულს დაიწყო. 2002 წლისთვის კი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ბიზნეს-ორგანიზაციების, განათლების ლიდერებისა და კანონმდებლებისგან შემდგარი კოალიცია „პარტნიორობა XXI საუკუნის სწავლებისთვის“. სწორედ ამ კოალიციის ფარგლებში განისაზღვრა ის ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც უნდა ჰქონდეს XXI საუკუნის ადამიანს. საჭირო ცოდნა და უნარები სამი ძირითადი მიმართულებით ჩამოყალიბდა:

1) სასწავლო უნარები;

2) ციფრული წიგნიერების უნარები;

3) კარიერისა და სასიცოხლო უნარები.

სასწავლო უნარები:

- კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა - შეკითხვების დასმა, პრობლემის გადაჭრის ახალი გზების ძიება;
- კომუნიკაცია და თანამშრომლობა - სხვებთან ერთად მუშაობა მიზნის მისაღწევად, იდეების, გადაწყვეტილებების გაზიარება;
- შემოქმედებითობა და ინოვაცია - ახალი გზებისა და მეთოდების ცდა;

ციფრული წიგნიერების უნარები:

- საინფორმაციო წიგნიერება - საჭირო ინფორმაციის მოცულობის განსაზღვრა, ინფორმაციის ეფექტურად მოპოვება, მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, მისი ეფექტური გამოყენება მიზნის მისაღწევად დ ა.შ.
- მედიაწიგნიერება - სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებების წვდომის, ანალიზის, შეფასებისა და თავად შექმნის უნარი.
- საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების წიგნიერება - ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება კვლევისთვის, ორგანიზებისთვის, ინფორმაციის გადაცემისთვის.

კარიერა და სიცოცხლის უნარები:

- მოქნილობა და ადაპტურობა
- ინიციატივა
- სოციალური და კულტურათაშორისი ინტერაქცია
- პროდუქტიულობა და ანგარიშვალდებულება
- ლიდერობა და პასუხისმგებლობა

2. სტანდარტი, როგორც მიზანმიმართული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის საშუალება

როგორ ვიყენებთ სტანდარტის დოკუმენტს მოცემული კურიკულუმის ფარგლებში? წინამდებარე კურიკულუმი, ერთი მხრივ, მთლიანად ეფუძნება ხარისხის სტანდარტს და, მეორე მხრივ, ბავშვის განვითარების სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევი საშუალებაა. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ კურიკულუმით მუშაობისას სტანდარტის დოკუმენტი მთავარ წიგნად უნდა ვაქციოთ:

(1) მისი დახმარებით განვსაზღვროთ გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მიზნები - როგორც ინდივიდუალურად ბავშვისთვის, ისე - მთელი ჯგუფისთვის. სტანდარტის შედეგების მიღწევა უნდა ხორციელდებოდეს ბავშვებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გადაცემის გზით; (2) სტანდარტის დოკუმენტს უნდა დავეყრდნოთ ფიზიკური გარემოს მოწყობისას; (3) სტანდარტის შესაბამისად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროცესი; (4) სტანდარტზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს საგანმანათლებლო პროცესი და მას უნდა დავეყრდნოთ ჩვენ მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის დადგენისას.

მნიშვნელოვანია, რომ სტანდარტის გამოყენებისას არ „დავიკარგოთ“ მასში და არ „მიმოვიფანტოთ“. ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ ჰოლისტური ხედვა, ვხედავდეთ და განვიხილავდეთ პროცესს მთლიანობაში, ვზრუნავდეთ ბავშვის განვითარებაზე ერთიანად და არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ მის ცალკეულ უნარებზე წერტილოვნად მუშაობით.

სტანდარტის დოკუმენტის ეფექტიანად გამოყენებისა და კურიკულუმის დანერგვისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კოლეგებთან თანამშრომლობა და ცოდნის, გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება სწორედ ამ მიმართულებით, ანუ რა არის ამ კურიკულუმის მიზანი, როგორ აღწევთ სტანდარტით დადგენილ შედეგებს და სხვა.

ბავშვის შედეგების შეფასება სტანდარტის მიხედვით

ბავშვზე დაკვირვებისას სტანდარტის დოკუმენტის, მასში გაწერილი შედეგებისა და ინდიკატორების ცოდნა დაგეხმარებათ ბავშვის განვითარების აქტიური ზონის განსაზღვრაში, ანუ დაადგინოთ განვითარების ის საფეხური, რომელიც მოიცავს ბავშვის აქტიურ შესაძლებლობებს და შეუსაბამოთ ბავშვის მოქმედება კონკრეტულ უნარს, სტანდარტის დოკუმენტში მოცემულ შესაბამის შედეგსა და ინდიკატორს, რაც დაგეხმარებათ ბავშვთან შემდგომი ინდივიდუალური ან ბავშვების გარკვეულ ჯგუფთან მუშაობის დაგეგმვაში.

ვთქვათ, ბავშვზე დაკვირვებისას (ბავშვზე დაკვირვება მოცემული კურიკულუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია) ინიშნავთ, რომ ნანა ხატავს ხაზებს და რგოლებს, შემდეგ კი ამბობს: „მე ვწერ წერილს ბაბუასთვის“. მოგვიანებით მოძებნით სტანდარტის დოკუმენტში შესაბამის შედეგსა და ინდიკატორს. შესაძლოა, ერთი ჩანაწერი ბავშვის რამდენიმე უნარს გვიჩვენებდეს. მაგალითად, ამ შემთხვევაში თქვენ

ნახავთ, რომ დაკვირვება ზუსტად ემთხვევა სტანდარტის დოკუმენტის 3.3. და 3.4. შემდეგ ინდიკატორებს:

სტანდარტი 3.3.				
ბავშვი ენას სხვადასხვა მიზნისთვის იყენებს (პრაგმატული განვითარება).				
ამბის მოყოლა	ამბავს ცალკეული სიტყვების წარმოთქმით გადმოსცემს.	თავისთვის ლაპარაკობს თამაშის დროს და ასახელებს იმას, რასაც ხედავს ან აკეთებს.	ამბავს ორ–სამ სიტყვიანი წინადადებებით გადმოსცემს.	აღწერს იმას, რაც აღიქვა წარსულში. ამბის მოყოლის დროს ქრონოლოგიის დაუცველად ჩამოთვლის იმ მოვლენებს, რომლებიც მისთვის მნიშვნელოვანია.
წერისათვის მზაობა	აკეთებს უნებლიე მონახაზებს და სხვებს აჩვენებს.	ცდილობს კონტურებიანი ფიგურის ან ნახატის გაფერადებას.	იხატავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს.	მიზანმიმართულად აკეთებს მარტივ მონახაზებს (ვითომ წერს).

ამის შემდეგ შეგიძლიათ განვითარების შემდგომი მიზნების განსაზღვრა და ბავშვისთვის მრავალფეროვანი საწერი საშუალებების, ნაბეჭდისა და ნაწერი ნიმუშების და ა.შ. შეთავაზება მისი შემდგომი განვითარების წასახალისებლად.

სტანდარტი 3.4.						
ბავშვი ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს.						
წერისათვის მზაობა	ავლებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს.	თამაშისას იყენებს წარმოსახვით წერას, (ხატავს პატარა ზომის ფიგურებს, ვითომ წერს).	საკუთარ სახელს ნიმუშს ამსგავსებს.	ხატავს სიმბოლოებს, რომლებიც შეხვედრია და ახსოვს.	მზრუნველს სიტყვების დაწერას სთხოვს.	გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს და მზრუნველს თავისი იდეების ჩაწერას სთხოვს.

ბავშვებზე დაკვირვებისას შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ რომელიღაც კონკრეტულ უნარზე მუშაობა ჯგუფის ყველა წევრისთვისაა ხელსაყრელი. ამ შემთხვევაში, უპრიანი იქნება თამაშის, ამა თუ იმ მასალისა და გამოწვევის შეთავაზება ბავშვების პატარა ან დიდი ჯგუფისთვის.

რაც უფრო დეტალურად იცნობთ სტანდარტის დოკუმენტს, მით უფრო გიადვილდებათ ბავშვებზე დაკვირვებისას მათი განვითარების საფეხურის დანახვა და შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, სამუშაოს დაგეგმვა მათი განვითარებისთვის.

ინდივიდუალური და ჯგუფის მიზნების განსაზღვრა სტანდარტის მიხედვით

არაერთგზის აღინიშნა, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს სტანდარტის დოკუმენტის მიხედვით მოკლე და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრას როგორც ცალკეული ბავშვის, ისე - მთელი ჯგუფისთვის. როგორ ვაკეთებთ ამას? იმის გათვალისწინებით, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფთანაც მუშაობთ, თქვენთვის აქტუალური იქნება სტანდარტის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფი, თუმცა ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის განვითარების ინდივიდუალური ტემპი. გრძელვადიანი მიზნის დასახვისას დავეყრდნოთ სტანდარტებს, ხოლო მოკლევადიანი მიზნების შემთხვევაში - ინდიკატორებს.

„სასწავლო წლის დასაწყისში, გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრისას, სტანდარტის დოკუმენტით ვხელმძღვანელობ ხოლმე. გადმოვიღებ ამ დოკუმენტს და მოვინიშნავ იმ სტანდარტებს, რომელთა განხორციელებაც გრძელვადიან მიზნებად მინდა

*გავწერო, რაც შემდგომში მიადვილებს მოკლევადიან მიზნებზე კონცენტრირებას. მიზნებზე ფიქრისას ვიაზრებ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებას და მთლიანი ჯგუფის საჭიროებებზეც ვფიქრობ. მაგალითად, წელს **4-5** წლის ბავშვები მყავს, შესაბამისად, ვიყენებ სტანდარტის დოკუმენტის იმ ნაწილს, რომელიც ამ ასაკობრივ დაყოფაში ჯდება, ანუ **30**-დან **60** თვემდე ასაკის ნაწილს. სტანდარტებიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბე გრძელვადიანი მიზნები, ვთქვათ, ფიზიკური და სენსორული სფეროს გასავითარებლად. ამ სფეროში შემდეგი სტანდარტებია:*

ბავშვი აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმარ თულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას.	ბავშვი აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს.	ბავშვი გრძნობათა ორგანოებს (მხედველობას, სმენას, შეხებას, გემოვნებას, ყნოსვას) საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად გამოიყენებს.

აქედან გამომდინარე, ჩემს გრძელვადიან მიზნებში სწორედ ეს უნარები ფიგურირებს: ბავშვებმა უნდა შეძლონ წონასწორობის შენარჩუნებით კოორდინირებულად მოძრაობა, წვრილი კუნთების გაკონტროლება, კოორდინირებულად მოძრაობა და გრძნობათა ორგანოების გამოყენება მოძრაობის გასაკონტროლებლად.

*გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, მოკლევადიან (თვის, კვირის, დღის) მიზნებსაც ჩამოვაყალიბებ - ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სტანდარტების ინდიკატორებით ვიხელმძღვანელებ. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში მთელი ჯგუფისთვის მოკლევადიანი მიზანი შეიძლება იყოს ბავშვებისთვის კიბეებზე დამოუკიდებლად ასვლა-ჩამოსვლის უნარის განვითარება (სტანდარტი **1.1.** - ის ინდიკატორი). ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლოა,*

მიზანი კონტინუუმის ხაზის უფრო ქვედა საფეხური იყოს - დავუშვათ, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა მოაჯირის დახმარებით (სტანდარტი 1.1. ის ინდიკატორი).

ნიკა, ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი

მშობელთან თანამშრომლობა

ამ კურიკულუმის განხორციელებისას თქვენი პასუხისმგებლობაა ბავშვის განვითარების დოკუმენტის გაცნობა მშობელთათვის. მოამზადეთ მშობლებისთვის მარტივი პრეზენტაცია და განუმარტეთ მათ სტანდარტის არსი, ისაუბრეთ მის მნიშვნელობაზე, სტრუქტურაზე, სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებსა და მიზნებზე. ინფორმაციის მიწოდებით მშობლებს, ერთი მხრივ, ეცოდინებათ, რას ელოდონ და მეორე მხრივ, კურიკულუმის მიზნებიც უფრო მკაფიო, ნათელი და გასაგები გახდება მათთვის.

კარგი იქნება, თუ მშობლებისთვის ამოცანების გასაცნობად გამოიყენებთ მშობელთა დაფას, რომელზეც ინფორმაციის სახით განათავსებთ იმ მიზანს, რომელზეც ჯგუფთან იმუშავებთ.

ფიზიკური გარემოს დაგეგმვა სტანდარტის გამოყენებით

მოცემული კურიკულუმი სტანდარტის დოკუმენტის გამოყენებით ფიზიკური გარემოს ორგანიზებასაც გულისხმობს. რას ნიშნავს ეს? როგორ უნდა გამოვიყენოთ ბავშვის აღზრდისა და განათლების

სტანდარტი გარემოს მოსაწყობად? უპირველეს ყოვლისა, ხელმეორედ წაიკითხეთ სტანდარტი, გაიაზრეთ, რა კომპეტენციების გადაცემას გულისხმობს ეს დოკუმენტი, ამის შემდეგ კი დაფიქრდით (გნებავთ, ჩამოწერეთ) ის რესურსები და ფიზიკური გარემოს მახასიათებლები, რომელთა გარეშეც სტანდარტის შედეგებზე გასვლა შეუძლებელი იქნება. მაგალითად, თუ სტანდარტის დოკუმენტის მიხედვით, ბავშვმა უნდა შეძლოს სამთვლიანი ველოსიპედის ტარება, ბუნებრივია, კურიკულუმის განხორციელებისას აუცილებლად დაგჭირდებათ ასეთი ველოსიპედი; თუ ბავშვმა დანის გამოყენებით პურს კარაქი უნდა წაუსვას, აუცილებელი რესურსი ბლაგვპირიანი დანაა. ცხადია, სტანდარტში მოცემული გამჭოლი მიმართულებების უნარებზეც ვერ გახვალთ შესაბამისი ფიზიკური გარემოს გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი (2017). საქართველოს მთავრობის დადგენილება N488.
ჩამოტვირთულია https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

ბერძენიშვილი, თ., ხერხეულიძე, მ., მელაძე, ნ., კანდელაკი, ე., ლაბარტყავა, ნ., & აფთარაშვილი, ი. (2010). ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები. თბილისი.

Australian Government Department of Education, Employment and Workplace Relations for the Council of Australian Governments (2009) Belonging, Being & Becoming: The Early Years Learning Framework for Australia, Commonwealth of Australia, ISBN 978-0-642-77873-4

Early Childhood Advisory Council to the Massachusetts Board of Education (2003) Early Childhood Program Standards For Three and Four Year Olds

Iowa Quality Preschool Program Standards, Iowa Department of Education Early Childhood Services Grimes State Office Building 400 E 14th St Des Moines IA 50319-0146

Katz, L. G. (1999). Multiple Perspectives on the Quality of Programs for Young Children.

Michigan State Board of Education (2013). Early Childhood Standards of Quality for Prekindergarten.

NCCA (2009) Aistear: the Early Childhood Curriculum Framework, National Council for Curriculum and Assessment 24 Merrion Square, Dublin 2. www.ncca.ie

New Jersey State Department of Education (2014): Preschool Teaching and Learning Standards, State of New Jersey

OAS. (2005). Birth to three, supporting youngest children. Learning and Teaching Scotland.

Office of Child Development and Early Learning (2014) Pennsylvania Learning Standards for Early Childhood. PRE-KINDERGARTEN, PA Keys

Office of Child Development and Early Learning. (2014) Pennsylvania Learning Standards for Early Childhood. INFANTS-TODDLERS. PA Keys

Te Whàriki. Early Childhood Curriculum (New Zeland)

Abbott, L., Ackers, J., Barron, I., Bradbury, C., David, T., Goouch, K., . . . Powell, S. (2003). Birth to three matters.

Connecticut Early Childhood Education Cabinet. (n.d.). Connecticut Early Learning and Development Standards.

David, T., Goouch, K., Powell, S., & Abbott, L. (2003). Birth to Three Matters: A Review of the Literature . Queens Printer.

First Discoverers. (n.d.). EYFS Developmental Milestones.

New York State Early Childhood Advisory Council; Council on Children and Families. (2012). New York State Early Learning Guidelines .

Office of Early Childhood Development Virginia Department of Social Services. (2008). Virginia Infant and Toddler Specialist Network. Retrieved from http://va.gapitc.org/wp-content/uploads/2014/03/Milestones_Revised2014.pdf

Wisconsin Child Welfare Training System . (n.d.). Developmental Stages of Infants and Children. Retrieved from Wisconsin Child Welfare Professional Development System : https://wcwpds.wisc.edu/childdevelopment/resources/CompleteDevelopmentDetails.pdf

Centers for Disease Control and Prevention. (2017). Milestone checklists with Tips. [online] Available at: https://www.cdc.gov/ncbddd/actearly/pdf/checklists/all_checklists.pdf [Accessed 17 Aug. 2017].

Dodge D. T.(2002) The Creative Curriculum for Preschool. Teaching Stategies Inc.

Curtis D. , Carter M. (2007), Learning Together with Young Children: A Curriculum Framework for Reflective Teachers. Redleaf Press

Ashbrook P. (2017 March 9).Building with blocks, building skills and memories.
http://nstacommunities.org/blog/2017/03/09/building-with-blocks-building-skills-and-memories/

Izumi-Taylor, S., Gunn Morris, V., Meredith, C. D., & Hicks, C. (2012). Music and Movement for Young Children's Healthy Development. Dimensions of Early Childhood, 40(2).

Welch, G. F. (1998). Early childhood musical development. Research Studies in Music Education, 11(1), 27-41.

Goodwin, P. M. (2008). Sensory experiences in the early childhood classroom: Teachers' use of activities, perceptions of the importance of activities, and barriers to implementation. Oklahoma State University.
http://digital.library.okstate.edu/etd/umi-okstate-2706.pdf

Piller, A., & Pfeiffer, B. (2016). The Sensory Environment and Participation of Preschool Children With Autism Spectrum Disorder. OTJR: occupation, participation and health, 36(3), 103-111.

Aistear, Siolta. Using open-ended materials, Practice Guide
http://www.ncca.ie/en/Practice-Guide/Creating-And-Using-The-Learning-Environment/Resources-for-Sharing/Open-ended-materials.pdf (19.08.2017)

Ata S., Aysegul Deniz A, Akman B. (2012). The physical environment factors in preschools in terms of environmental psychology: a review. Volume 46, P. 2034-2039.
http://ac.els-cdn.com/S1877042812015534/1-s2.0-S1877042812015534-main.pdf?_tid=6191e29e-8441-11e7-bee6-00000aacb35f&acdnat=1503080380_020df0617ba914f6988fdbdfb007deb7 (19.08.2017)

Carter, M. (2007). Making Your Environment The Third Teacher. EXCHANGE-EXCHANGE PRESS-, 176, 22.
http://www.earlylearning.prn.bc.ca/wp-content/uploads/Environment-as-the-3rd-teacher.pdf (18.08.2017)

Fox, J. E., & Berry, S. (2008). Art in early childhood: Curriculum connections